



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

„დიპლომირებული მედიკოსის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი სამედიცინო
საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასებისთარიღი(ებ)ი 6-7 მარტი, 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი
08.05.2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	404535810
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	დიპლომირებული მედიკოსი 0912
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	360
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ივანა ობორნა, მედიცინის დოქტორი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინე ფხაკაძე, მედიცინის დოქტორი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი გაგუა, დამსაქმებელი ექსპერტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა, სტუდენტი ექსპერტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი (აღსუ) დაარსდა აღმოსავლეთ-დასავლეთ კომპანიის მიერ 2017 წელს და იმავე წელს დარეგისტრირდა. აღსუ-ს ამჟამად აქვს ერთი ფაკულტეტი - მედიცინის სკოლა. ამჟამად, სასწავლო პროგრამა არ ხორციელდება.

ყველა სახის ინფორმაცია დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე მოპოვებულ იქნა იმ დოკუმენტებიდან, რომლებიც აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტმა წარმოადგინა, ასევე აკრედიტაციის ვიზიტიდან და ინტერვიუებიდან. აღსუ-მ ასევე მოგვანოდა ბევრი დოკუმენტი, რომელიც ეხებოდა უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ფუნქციონირებას (იხ. თანდართული დიაგრამა) და შიდა რეგულაციებს. სხვა დოკუმენტების მოთხოვნის შემთხვევაში, აღსუ-მ უზრუნველყო მათი მოწოდება, გარდა ერთისა (იხ. ქვემოთ).

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა მიზნად ისახავს 150 სტუდენტის მიღებას ყოველწელს და ექვსი წლის პერიოდში სტუდენტთა რაოდენობის გაზრდას დაახლოებით 900-მდე. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა არის ინტეგრირებული როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური ინტეგრაციით და შედგება ექვსი მოდულისგან: სიცოცხლის სტრუქტურა, სიცოცხლის კონტროლი, სიცოცხლის ციკლი, სიცოცხლის შენარჩუნება, სიცოცხლის დაცვა და სიცოცხლის მხარდაჭერა. წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში დაწერილია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტების მიხედვით. სილაბუსები კომპლექსურია, შედგენილია და მოიცავს ყველა სახის ინფორმაციას, მათ შორის კურსის კოდს, მოდულს, სილაბუსის ავტორ(ებ)ს, ელ.ფოსტის მისამართ(ებ)ს, წინაპირობებს, ვადას, სტატუსს, ენას, მიზანს, შედეგებს, კომპეტენციებს, სწავლების მეთოდებს, შეფასების სისტემას, სასწავლო ლიტერატურას, კურსის ფორმატსა და სწავლის შედეგების რუკას. მათში არაა განსაზღვრული სტუდენტთა ჯგუფის მოცულობა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს თითოეულ აღნიშნულ სწავლების მეთოდს (სტუდენტებისა და მასწავლებლის თანაფარდობა) და ის ადგილ(ებ)ი, სადაც განხორციელდება სწავლების თითოეული ნაწილი. უფრო მეტი სიცხადისთვის, მოთხოვნილ იქნა ცხრილი.

მოწოდებულ იქნა პროფესიული რეზიუმეები (CV), თუმცა ისინი ძირითადად არ შეიცავდა განახლებულ ინფორმაციას. იმის გამო, რომ კვალიფიციურ პერსონალს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მოთხოვნილ იქნა განახლებული ინფორმაცია ასოცირებული და მოწვეული აკადემიური პერსონალის ამჟამინდელი სამუშაო დატვირთვის შესახებ საავადმყოფოებში/ინსტიტუტებში/სხვა უნივერსიტეტებში და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამებში. ინფორმაცია მოწოდებული უნდა ყოფილიყო სრული განაკვეთის ექვივალენტის (FTEs) შესაბამისად და დასაბუთებული უნდა ყოფილიყო სამუშაო დატვირთვის პროცენტულობა აღსუ-ში. ეს ინფორმაცია არ იქნა მიღებული, მიუხედავად იმისა, რომ განმეორებითი მოთხოვნა გაიგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) საშუალებით.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი დაიწყო 2020 წლის 6 მარტის დილას, როდესაც ექსპერტთა ჯგუფი ეწვია სამ სამედიცინო დაწესებულებას, მათ შორის სპა კურორტს, და გაგრძელდა 6 მარტის შუადღეს. 7 მარტის მთლიანი დღე დაეთმო ექსპერტთა ჯგუფის წევრების ინტერვიუებს აღსუ-სთან და მედიცინის სკოლის ხელმძღვანელობასთან, მენეჯმენტთან, პერსონალთან და დამსაქმებლებთან. შეხვედრა არ ჩატარებულა არცერთ სტუდენტთან, რადგან პროგრამა პირველად უნდა განხორციელდეს.

ბოლო ინტერვიუები ჩატარდა 2020 წლის 7 მარტის შუადღეს, რასაც შემდგომ მოჰყვა ექსპერტთა ჯგუფის თათბირი. ამ თათბირზე ექსპერტებმა ჩაატარეს განხილვა და საბოლოოდ შეთანხმდნენ შეფასებაზე, თუ რა დონეზე შეესაბამება დიპლომირებული მედიკოსის ახალი პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებსა და მათ კომპონენტებს. ექსპერტთა თავჯდომარემ ჯგუფის დასკვნების შესახებ მოკლე მიმოხილვა წარუდგინა ადსუ-ს მენეჯმენტსა და მედიცინის სკოლის ხელმძღვანელობას. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) თანამშრომლების მეშვეობით, მოთხოვნილ იქნა ერთი კვირის ვადაში სრული განაკვეთის ექვივალენტის (FTEs) შესაბამისი განახლებული ინფორმაციის მოწოდება ასოცირებული და მოწვეული აკადემიური პერსონალის ამჟამინდელი სამუშაო დატვირთვის შესახებ საავადმყოფოებში/ინსტიტუტებში/სხვა უნივერსიტეტებში და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამებში, რომელსაც თან დაერთვებოდა ადსუ-ს სამუშაო დატვირთვის პროცენტულობის დასაბუთება. აკრედიტაციის ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს თან ახლდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პერსონალი.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა შეფასდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) უმაღლესი განათლების სტანდარტებისა და მედიცინის დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით. სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) ბიო-სამედიცინო ინჟინერიის (BME) სტანდარტები ნაწილობრივ ასევე იქნა გათვალისწინებული. ადსუ ისახავს ძალიან რთულ მიზანს - შეიმუშაოს დიპლომირებული მედიკოსის ახალი პროგრამა მაშინ, როდესაც არ აქვს სხვა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გამოცდილება. დიპლომირებული მედიკოსის ნებისმიერი პროგრამის წარმატებით განხორციელება მოითხოვს არა მხოლოდ შენობებსა და დიდი გამოცდილებისა და ცოდნის მქონე მენეჯმენტს, არამედ შესაბამის აღჭირვილობას და, რაც მთავარია, ადეკვატური რაოდენობის განათლებულ და კვალიფიციურ კადრებს. მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, აშკარაა, რომ ადსუ-მ ვერ მიაღწია დასახულ მიზანს მიუხედავად დიდი ძალისხმევისა და არ არის მზად დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის განსახორციელებლად. ადსუ-ს მისიაა უმაღლესი განათლების უზრუნველყოფა, რომელიც დაფუძნებულია მეცნიერებასა და კლინიკურ გამოცდილებაზე. ამასთან, მიზნები არ არის მიღწევადი ძირითადად მატერიალური და ადამიანური რესურსების ნაკლებობის (მაგალითად, ბიბლიოთეკა არის სათანადო, ძირითადი საგნებისთვის საერთოდ არ არსებობს ლაბორატორიები და მცირეა ადამიანური რესურსები) და სწავლების მეთოდოლოგიასა და ორგანიზებაში მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო. ამჟამად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მონაცემთა ბაზაში აღნიშნულია ადსუ-ს მხოლოდ ერთი აფილირებული თანამშრომელი.

სტანდარტებთან შესაბამისობის შეჯამება: სტანდარტი 1- ნაწილობრივი შესაბამისობა; სტანდარტი 2 - არ შეესაბამება; სტანდარტი 3 - შეესაბამება; სტანდარტი 4 - არ შეესაბამება; სტანდარტი 5 - ნაწილობრივი შესაბამისობა.

▪ რეკომენდაციები

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში აქტიურად უნდა იყოს ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის მიზნების მიღწევა.

- აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს უფრო თანამშრომლური მიდგომა სასწავლო გეგმის, შეფასების შემუშავებისა და განხორციელების მიმართ.
- აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტმა უნდა გადაამზადოს თავისი პერსონალი, რომელმაც ნაკლებად იცის, თუ როგორ მოახდინოს კურსების ინტეგრირება და როგორ განახორციელოს ინტეგრირებული სასწავლო პროგრამა სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.
- ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი უნდა კონცენტრირდეს პროგრამის განვითარების მექანიზმებზე.
- აკადემიური პერსონალი უნდა იყოს უფრო ზუსტი დარგობრივი კომპეტენციების შემუშავებისას თითოეული კურსის სწავლის შედეგებზე მუშაობის დროს.
- დიპლომირებული მედიკოსის შემოთავაზებულ პროგრამაში განათლების ხარისხის შესანარჩუნებლად რეკომენდებულია:

მოხდეს ჩასარიცხი სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობის გაანგარიშება;

გადმოსული სტუდენტებისადმი უნდა გამოვლინდეს მაღალი შერჩევითობა, მას შემდეგ რაც ეს პროგრამის ნაწილი გახდება. უნდა განისაზღვროს მკაფიო კრიტერიუმები სტუდენტების ტრანსფერისთვის, მაგ. ჩარიცხვამდე დროის წყვეტის მაქსიმალური ხანგრძლივობა, ჩარიცხვის მაქსიმალური წელი, როდესაც ინტეგრირებულია სასწავლო გეგმა, კრედიტის აღიარება, მათ შორის მხოლოდ იმ საგნების, სადაც სტუდენტს აქვს მოპოვებული შეფასების 81% -ზე მეტი (A, B დონე), ცოდნის შეფასების გზები, დანარჩენი საგნების კომპეტენციები (MCQ ტესტი, ზეპირი გამოცდა, OSPE, OSCE), ქართული ენის ცოდნა, რადგან ეს ისწავლება მხოლოდ სწავლის დასაწყისში. თითოეული ტრანსფერისთვის დაშვება ნათლად უნდა იყოს დოკუმენტირებული შემდგომი შეფასებისთვის. გადმოსული სტუდენტების პროცენტული წილი თითოეულ სასწავლო წელს არ უნდა აღემატებოდეს 5%-ს პროგრამის განხორციელების სულ მცირე პირველი სამი წლის განმავლობაში.

- წერილობითი დოკუმენტები უნდა ასახავდეს რეალობას. განსაზღვრული უნდა იყოს მთელი წლის პროგრამის დეტალური გრაფიკი, მათ შორის, მასწავლებლ(ებ)ის სახელ(ებ)ი, თითოეული ჯგუფის მოცულობა, დრო და ადგილი, სადაც ჩატარდება კონკრეტული სწავლება და სადაც დაიშვება ნებისმიერი სტუდენტი.
- სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, შეასწორეთ შეფასებები, რომელიც სილაბუსს აკლია.
- უზრუნველყავით შესაბამისი გარემოებები სილაბუსებში აღწერილი უნარების მიღწევის მიზნით.
- უზრუნველყავით სტუდენტებისთვის შესაბამისი სასწავლო მასალის, მაგალითად, წიგნების (ასლის ან ელექტრონული წიგნების სახით) ხელმისაწვდომობა მთელი პროგრამის მსვლელობისას. გააფართოვეთ და შეინარჩუნეთ ონლაინ მონაცემთა ბაზების პორტფოლიო კურსის მსვლელობისას.
- შეიმუშავეთ წესი სწავლის გაგრძელების/შეწყვეტისათვის იმ შემთხვევაში თუ პრერეკვიზიტები არ იქნება დამაკმაყოფილებლად შესრულებული.
- შექმენით შესაბამისი ლაბორატორიები ძირითადი სამეცნიერო კვლევისთვის.
- შექმენით შესაბამისი ლაბორატორიები კლინიკური სამეცნიერო კვლევისთვის.
- გამოყავით ბიუჯეტი სტუდენტთა კვლევითი საქმიანობისთვის.
- ფოკუსირება მოახდინეთ ნამდვილი პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე, არ უნდა იყოს ასეთი განსხვავება წერილობით დოკუმენტებსა და დაგეგმილ სწავლებაზე.
- განსაზღვრეთ და გამოიკვლიეთ პროფესორების და სტუდენტების თანაფარდობა თითოეული სწავლა სწავლების მეთოდისათვის.

- დარწმუნდით რომ სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება კურსის შინაარსს, სტუდენტების სწავლის შედეგებს და მათ მიღწევებს. დაამატეთ მოდულების/კურსების/საგნების ჩამონათვალი, სადაც OSCE-არის ნახსენები, როგორც შეფასების ნაწილი და შეიტანეთ ეს ინფორმაცია შესაბამის სილაბუსებში.
- წერილობითი დოკუმენტაცია უნდა ასახავდეს რეალობას. შეიმუშავეთ და აღწერეთ შეფასება ცხრილის მიხედვით.
- აფილირებული პერსონალი უნდა იყოს მითითებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მონაცემთა ბაზაში, რომელიც წარმოადგენს განახლებული ინფორმაციის რელევანტურ წყაროს.
- გაზარდეთ პედაგოგიური პერსონალი, რომელიც სრულ განაკვეთზე იმუშავებს. ნახევარ განაკვეთზე მომუშავე პერსონალისთვის უნდა შეიქმნას ადსუ– ში სამუშაოდ მზადყოფნის წერილობითი დადასტურება, რომელშიც განსაზღვრული იქნება სამუშაო დატვირთვის პროცენტულობა. საჭიროა ზუსტი გაანგარიშება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სათანადო სწავლება და კლინიკური მომზადება. ოპტიმალური გაანგარიშება იძლევა სრული განაკვეთის ექვივალენტს (FTE). როდესაც მედიცინის სკოლა დაასაქმებს მნიშვნელოვანი რაოდენობის ნახევარ განაკვეთზე მომუშავე პერსონალს, სასარგებლო იქნება მათი ნამუშევარი საათების კონვერტაცია სრული განაკვეთის ექვივალენტად, რათა დაინახოთ თუ რამდენ სრულ განაკვეთთან თანამშრომელს უტოლდება მათი მუშაობა. რეკომენდებულია, რომ სრული განაკვეთის ექვივალენტი (FTE) განისაზღვროს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის დასაწყისშივე და თითოეული სემესტრისთვის მოხდეს ხელახალი დაანგარიშება. მისი გამოყენება უნდა მოხდეს მოწვეული პერსონალისთვის, რომლისთვისაც მხოლოდ საკონტაქტო საათები ანგარიშდება, და ასევე აფილირებული პერსონალისთვის, რომლისთვისაც მხოლოდ სწავლებისთვის დათმობილი სათანადო საათების დაანგარიშება ხდება.
- გაზარდეთ ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა კლინიკურ გარემოში მომუშავე თანამშრომლების ჩათვლით.
- სტუდენტებისა და მასწავლებლის განსაზღვრული თანაფარდობის მიხედვით, მკაცრად შეინარჩუნეთ სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა სწავლების თითოეული ტექნიკისთვის.
- მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხოლოდ ის სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც ეკუთვნისადსუ–ს.
- ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული ვალდებულებები და თანამშრომლობა ადამიანური რესურსების მენეჯმენტისა და პროცედურების და ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტებს შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული და მეცნიერული განვითარების მიზნით.
- მკაფიოდ უნდა განისაზღვროს პერსონალთან შეხვედრების სიხშირე.
- მოახდინეთ პერსონალის მომზადების შესახებ არსებული ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტის კატეგორიზაცია (მაგალითად, განათლება, სპეციალიზაცია და სხვა) და დროდადრო განაახლეთ ისინი.
- უზრუნველყავით მტკიცებულების მოწოდება ადსუ–ს დაარსების დღიდან უნივერსიტეტში ჩატარებული ნებისმიერი სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.
- შექმენით სათანადო კომუნალური ოთახები სტუდენტებისთვის ყველაპრეკლინიკურ და კლინიკურ გარემოში .
- შექმენით სათანადო ლაბორატორიები ძირითადი საგნების სწავლებისთვის, მათ შორის ანატომიისათვის, რომელიც ამჟამად თითქმის სტანდარტული აღჭურვილობაა.
- მოაწყეთ OSCE-ს ცენტრი.

- შექმენით საგამოცდო ცენტრი.
- შექმენით სათანადო ბიბლიოთეკა რელევანტური წიგნებისა და ჟურნალების ადეკვატური რაოდენობით.
- უზრუნველყავით სათანადო ელექტრონული მონაცემთა ბაზები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის მთელი ხანგრძლივობისთვის (სულ მცირე).
- უნივერსიტეტმა უნდა ჩამოაყალიბოს ხარისხის უზრუნველყოფის კულტურა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და რეალური პროცესების განხორციელება თანმიმდევრულად უნდა შეესაბამებოდეს იმ სისტემების აღწერას, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამის რეგულირებას.
- გამოიყენეთ გარე შეფასების მექანიზმები, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკის ნაწილი.
- დიპლომირებული მედიკოსის ხარისხის როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო აღიარების მოსაპოვებლად უნივერსიტეტმა უნდა გაწიოს მნიშვნელოვანი ძალისხმევა დამატებითი საერთაშორისო პარტნიორობის დასამყარებლად, რათა მათ მისცენ დაწესებულებას კონტექსტუალურ რჩევა ამ მიზნების მისაღწევად.
- დაგეგმეთ რეალურად სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის პროცესი.
- პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული მიმოხილვის პროცესებმა უნდა მიიღოსოფიციალური სტრუქტურა, რათა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული მხარის სისტემატური ჩართულობა განვითარებაში და მონაცემთა ანალიზში.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- იმის გათვალისწინებით, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის უნივერსიტეტის მისიის განაცხადიგამოხატავს ვალდებულებას ხელი შეუწყოს კულტურათაშორის დიალოგს, მიაღწიოს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ მაჩვენებელს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომით ბაზარზე და შეიტანოს წვლილი განათლებაზე დამყარებული სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში”, უნივერსიტეტმა მიზანმიმართულად უნდა გაწიოს მნიშვნელოვანი ძალისხმევა საერთაშორისო პარტნიორობის დასამყარებლად. ეს შეიძლება განისაზღვროს იმ საკვლევი სფეროების მიხედვით, სადაც საერთაშორისო თანამშრომლობა მნიშვნელოვანი იქნებოდა.
- შეთავაზებულია, გამოცდის საშუალებით შემოწმდეს აპლიკანტების ცოდნა ბიოსამედიცინო საგნებში და ეს იყოს დაშვების წინაპირობის განუყოფელი ნაწილი.
- მოთხოვნილი უნდა იყოს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი საერთაშორისო სტუდენტებისაგან.
- ყურადღება უნდა გამახვილდეს სილაბუსის გარკვეულ მოქნილობაზე.
- პროფესიული რეზიუმეები (CV) უნდა განახლდეს პერიოდულად, სავარაუდოდ, ყოველწლიურად, აკადემიური საქმიანობის რეგულარული შეფასების მიხედვით.
- აღმოსავლეთ – დასავლეთის უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების სისტემამ უნდა შეაფასოს სასწავლო – კვლევითი საქმიანობა, შეფასების შედეგების ანალიზი და ამის გამოყენება სწავლების / სწავლის პროცესის შემდგომი განვითარებისათვის, უნდა მოიცვას უნივერსიტეტის განვითარების შესაძლო დაგეგმვა, მართვა და მონიტორინგი, ხელი უნდა შეუწყოს სწავლების / სწავლის, კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესებას, სტრატეგიული მიზნებისა და მისიის მისაღწევად.
- საჭიროა ელექტრონული პლატფორმის შემუშავება მონიტორინგის სამუშაო პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის უფრო ეფექტური ჩართულობისთვის.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1.პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტის მისია იძებნება ვებგვერდზე; პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიის ძირითად დებულებებს: „აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა მედიცინისა და ზოგად ჯანდაცვის სფეროში მეცნიერებისა და კლინიკური გამოცდილების საფუძველზე უზრუნველყოს უმაღლესი განათლება, რომელიც ემყარება ცოდნის, უნარების, ფასეულობებისა და ხედვის გაფართოებას და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით საუნივერსიტეტო გარემოს შექმნას. უნივერსიტეტის მიზანია შეუწყოს ხელი კულტურათაშორის დიალოგს, მიაღწიოს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ დონეს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე და წვლილი შეიტანოს განათლებაზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში“. (დანართი 06, 07, 08).

პროგრამის მიზნები - განსაზღვრულია ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მთელი სპექტრი, რომლის განვითარებასაც პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებში. თუმცა ეს არ არის მიღწევადი, ძირითადად, მატერიალური და ადამიანური რესურსების (ბიბლიოთეკა, ძირითადი საგნებისათვის საჭირო ლაბორატორიების არარსებობა და ადამიანური რესურსების სიმცირე) ნაკლებობის გამო;

პროგრამაზე დაშვება ხორციელდება ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსის აღიარების, შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურის შესაბამისად. მობილობა შესაბამისად, აგრეთვე, სასწავლო პროცესში მიღებული განათლების აღიარების წესის მიხედვით (დანართი 04, 05). მიუხედავად ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე უნივერსიტეტში მიღებისა, რაც ნებადართულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, აბიტურიენტებისთვის შემოთავაზებულია ქიმიისა და ბიოლოგიის ცოდნის შემოწმება სწავლის შედეგების მისაღწევად.

პროგრამის მთავარი მიზანია კვალიფიციური დიპლომირებული მედიკოსების მომზადება.

ამიტომ, პროგრამის მიზნებია:

- მოამზადოს კურსდამთავრებულები, რომლებსაც ექნებათ ძირითად სამედიცინო და კლინიკურ მეცნიერებებში სამედიცინო საქმიანობისთვის აუცილებელი ცოდნა;
- კურსდამთავრებულში განავითაროს სამედიცინო განათლების პირველი საფეხურის შესაბამისი პრაქტიკული და კლინიკური უნარები;
- დაადგინოს და განავითაროს კურსდამთავრებულთა პროფესიული ეთიკისა და პროფესიონალიზმის ნორმები;
- კურსდამთავრებულში განავითაროს სტანდარტულ და არასტანდარტულ სიტუაციებში საჭირო უნარები და მისი თავიდან აცილების შესაძლებლობა;
- კურსდამთავრებულში ჩამოუყალიბოს მუდმივი პროფესიული განვითარებისთვის მზადყოფნა.

პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებს განვითაროს ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული სამედიცინო პრაქტიკისთვის საჭირო კომპეტენციები, რაც თავის მხრივ გულისხმობს დარგის ძირითადი თეორიული ცოდნის მიღებას და პრაქტიკულ უნარებს.

დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მისაღებად კურსდამთავრებულებმა უნდა შეიძინონ:

- ზოგადი კლინიკური უნარები;
- კანონით დადგენილი ნორმებისა და ჰუმანიზმის პრინციპების შესაბამისად მუშაობის უნარი;
- პაციენტების პატივისცემა, რათა შეძლოს მათი ინტერესების გათვალისწინება სოციალური, კულტურული, რელიგიური და ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად;
- იმუშაოს პროფესიული ეთიკის ფარგლებში.

სასწავლო გეგმის მიხედვით პროგრამა უზრუნველყოფს:

- ჯანდაცვის ეროვნული და საერთაშორისო სისტემის ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებას;
- სამედიცინო პერსონალის გადამზადებას უახლესი საინფორმაციო და სწავლების ტექნოლოგიების გამოყენებით.
- სამედიცინო პერსონალის აღჭურვას ტექნოლოგიური წინსვლის შესახებ თეორიული ცოდნით და სამედიცინო პრაქტიკისთვის საჭირო ძირითადი ცოდნით.

ინტერვიუებმა გამოავლინა რეალური პირობები და გუნდური მუშაობის ნაკლებობა. ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ამ პროგრამისა და სასწავლო გეგმის შემუშავება არ არის კოლექტიური შრომის, ჯგუფის ყველა წევრის განსჯისა და განხილვის შედეგი. პერსონალი სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში გამოცდილებას ხშირად აგროვებდა სხვა უნივერსიტეტებში. უფრო მეტი სასწავლო გეგმა ემყარებოდა ზოგიერთი ადამიანის გამოცდილებას. ინტერვიუებში არ აისახა სრული თანამშრომლობის მაგალითი. კლინიკებისა და შენობის დათვალიერებისას დაფიქსირდა მატერიალური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა (ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები ძირითადი და პრე-კლინიკური საგნებისათვის).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები (დანართი 04)
- საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 04)
- სილაბუსები (დანართი 05)
- უნივერსიტეტის მისია (დანართი 06)
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში აქტიურად უნდა იყოს ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის მიზნების მიღწევა.
- აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს უფრო თანამშრომლური მიდგომა სასწავლო გეგმის, შეფასების შემუშავებისა და განხორციელების მიმართ.
- აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტმა უნდა გადაამზადოს თავისი პერსონალი, რომელმაც ნაკლებად იცის, თუ როგორ მოახდინოს კურსების ინტეგრირება და შეიმუშავოს ინტეგრირებული კურიკულუმი სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- იმის გათვალისწინებით, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის უნივერსიტეტის მისიის განაცხადი გამოხატავს ვალდებულებას ხელი შეუწყოს კულტურათაშორის დიალოგს, მიაღწიოს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ მაჩვენებელს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე და შეიტანოს წვლილი განათლებაზე დამყარებული სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში, უნივერსიტეტმა მიზანმიმართულად უნდა გაწიოს მნიშვნელოვანი ძალისხმევა საერთაშორისო პარტნიორობის დასამყარებლად. ეს შეიძლება განისაზღვროს იმ საკვლევი სფეროების მიხედვით, სადაც საერთაშორისო თანამშრომლობა მნიშვნელოვანია.
- რეკომენდებულია აპლიკანტებისთვის ქიმიასა და ბიოლოგიაში მათი ცოდნის შემოწმება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმომოხილვა და ანალიზი

პროგრამის წარმატებით დასრულებისას, კურსდამთავრებულს ექნება შემდეგი ზოგადი ტრანსფერული უნარები და გამოცდილება:

ცოდნა და გაგება: ფუნდამენტურ სამედიცინო, კლინიკურ, ბიჰევიორისტულიმეცნიერებების შესახებ სამედიცინო განათლების პირველი საფეხურისშესაბამისი ცოდნა და გაგება, სტანდარტული და არასტანდარტული, სრული და არასრული მონაცემების ანალიზის, ახალი ინფორმაციის ანალიზისა და შეჯამების მეთოდების ცოდნა, კონკრეტული სამედიცინო დარგებისა და მათი მეთოდების ცოდნა; ცოდნის უწყვეტი განახლების საჭიროების გაცნობიერება; ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა მედიცინის კონტექსტში.

უნარები: სტანდარტული და არასტანდარტული, მათ შორის არასრული მონაცემების კრიტიკული შეფასება, მათი დამოუკიდებლად ანალიზი, დასკვნების გამოტანა და ანალიზის გამოყენება; დასკვნების გამოტანა ახალი ინფორმაციის ანალიზიდან, მტკიცებულების და / ან კონტრარგუმენტების მოტანა შედეგების ანალიზის დროს; ინფორმაციის მიღება სხვადასხვა წყაროდან, თავდაპირველი დამუშავება და კრიტიკული შეფასება; კითხვების დასმის, დაკვირვების, მოსმენისა და აგრეთვე წერილობითი კომუნიკაციის უნარი. შეხვედრებში / დისკუსიებში მონაწილეობა და ზეპირი და წერილობითი მოსაზრებების ჩამოყალიბება. პროფესიული მოლაპარაკებების წარმოება და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა; ახალ პერსონალთანპრაქტიკული მუშაობის ჩვევები, პროფესიული ადაპტაციის / სუბორდინაციის უნარი, ახალი ტექნოლოგიებში დაოსტატება; ახალ ტექნოლოგიებშიდაოსტატებისუნარი.

ავტონომია და პასუხისმგებლობა: პრობლემების დამოუკიდებლად იდენტიფიცირება და ფორმულირება, მათი გადაჭრის გზების იდენტიფიცირება, მოსალოდნელი შედეგების გაანალიზება და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება; სწავლის / ცოდნის მუდმივად განახლების უნარი: სწავლისა და ინფორმაციული რესურსების მთელი სპექტრის გამოყენება, მთელი სასწავლო პროცესის მართვა; საკუთარი და სხვისი ცოდნისა და უნარების ობიექტური შეფასების უნარი; დამოუკიდებლად და ჯგუფურად მუშაობის უნარი: დროის მენეჯმენტის, პრიორიტეტების განსაზღვრისა და ვადების დაცვის უნარი. მის საქმიანობასთან დაკავშირებული რესურსების სწორად დაგეგმვა. ანგარიშვალდებულება შესრულებული სამუშაოს მიმართ, მისი შეფასება და კრიტიკა; პაციენტის უფლებების დაცვის უნარი; პროფესიული მოლაპარაკებების წარმოება და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა; პაციენტებთან და კოლეგებთან ურთიერთობისას სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვა. (დანართი 04, 05)

სამედიცინო სფეროს სპეციფიკური სწავლის შედეგები

1. კურსდამთავრებულმა იცის / ესმის ბიოსამედიცინო, ბიჰევიორისტული, სოციალური, კლინიკური მეცნიერებებისა და დარგების ფუნდამენტური პრინციპები;
2. პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია კონსულტაცია გაუწიოს პაციენტს;
3. პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია შეაფასოს კლინიკური შემთხვევები, დანიშნოს გამოკვლევა, განახორციელოს დიფერენცირებული დიაგნოზი და განიხილოს დაავადებების მართვის გეგმა;
4. პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ჩაატაროს სიცოცხლის მხარდაჭერის ძირითადი პროცედურები;
5. პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია წამლის გამოწერა;
6. პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია პრაქტიკული პროცედურის ჩატარება;
7. პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ეფექტური კომუნიკაციის წარმართვა სამედიცინო ჭრილში;
8. პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია გამოიყენოს ეთიკური და სამართლებრივი პრინციპი სამედიცინო პრაქტიკაში;

9. პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია შეაფასოს პაციენტთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტები;
10. პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია გამოიყენოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპები, უნარები და ცოდნა;
11. პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ეფექტურად გამოიყენოს ინფორმაცია და ინფორმაციული ტექნოლოგიები სამედიცინო ჭრილში;
12. პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია გამოიყენოს ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპები სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში.
13. კურსდამთავრებულებს შეუძლიათ ჩაერთონ ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებებში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში და ეფექტურად იმუშაონ ჯანდაცვის სისტემაში;
14. პროგრამის კურსდამთავრებული ხდება პროფესიონალი.

შედეგები მიიღწევა პროგრამის სრული და წარმატებით დაუფლების საშუალებით.

თითოეული მოდულის / კურსის სილაბუსი განმარტავს სწავლის სპეციფიკურ შედეგებს, მათ მიღწევასა და შეფასების მეთოდებს (ტესტები / MCQs, ღია კითხვები, მოკლე შემთხვევები, პირდაპირი დაკვირვება, პრობლემის ანალიზი, ობიექტურად სტრუქტურირებული გამოცდები (OSCE), ჟურნალები / პორტფოლიო).

პროგრამაში მოცემულია სწავლის შედეგების ჯვარედინი ცხრილი, სადაც აღნიშნულია თითოეული მოდულის / კურსის შესაბამისობა კონკრეტულ სწავლის შედეგთან და საფეხურთან (აღნიშვნის დონეები: 1 - გაცნობა, 2 - გაღრმავება, 3 – გაძლიერება).

უნივერსიტეტმა განავითარა პროგრამის შემუშავების / დახვეწის მექანიზმები სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ თითოეული სემესტრის ბოლოს მოწოდებული პროგრამისა და მისი შემადგენელი კურსების სემესტრული შეფასების ანალიზზე დაყრდნობით.

მონაცემები ანალიზისთვის შეგროვებულია ინდიკატორებისა და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული მონაცემების დაგროვების მეთოდოლოგიის გამოყენებით. ეს ინდიკატორებია:

- აკადემიური პერსონალის შეფასება
- კურსის შეფასება - სტუდენტების კითხვარები
- პროგრამის შეფასება - სტუდენტების კითხვარები
- პროგრამის შეფასება კურსდამთავრებულების მიერ - სტუდენტების კითხვარები
- პროგრამის შეფასება დამსაქმებლის მიერ - სტუდენტების კითხვარები

აკადემიურ პერსონალთან საუბრისას აშკარად გამოჩნდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი სრულად აცნობიერებდა სასწავლო გეგმის ინტეგრირებულ ხასიათს, მის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ წყობას და შეფასებებთან კავშირს. ამასთან, რადგან აკადემიური პერსონალის ზოგიერთ წევრს ცოდნა ჰქონდა საკუთარი საგნის სფეროში, მაგრამ არ იცოდა დეტალური ინტეგრაცია, ვერ შეძლო აღეწერა კონსტრუქციული განლაგება და ინტეგრაცია. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი არ იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. პროგრამის პერსონალს არ მიუღია პროფესიული განვითარების შესაძლებლობები სტუდენტთა სწავლის შედეგების დადგენის, გაზომვისა და ანალიზის კუთხით. გარდა ამისა, მათ სრულყოფილად არ ესმოდათ, თუ როგორ განესაზღვრათ სწავლის შედეგები სწორად, მაგ. ზოგიერთ სასწავლო კურსში / მოდულში არ არის აღნიშნული ცოდნა სწავლის შედეგებს შორის (ქირურგია, რადიოლოგია, ინგლისური). კურსების / მოდულის უმეტესობა არ განსაზღვრავს სწავლის შედეგებს დარგის კომპეტენციების მიხედვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 04)
- სილაბუსები (დანართი 05)

• სასწავლო გეგმის რუკა (დანართი 05) • სწავლის შედეგებზე დაკვირვების მექანიზმები (დანართი 09 და 10) • გასაუბრებების შედეგები
რეკომენდაციები: ○ ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი უნდა კონცენტრირდეს პროგრამის გაუმჯობესების მექანიზმებზე. ○ აკადემიური პერსონალი უნდა იყოს უფრო ზუსტი დარგობრივი კომპეტენციების შემუშავებისას თითოეული კურსის სწავლის შედეგებზე მუშაობის დროს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			✓	

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამისათვის სწავლების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმომოხილვა და ანალიზი

- პროგრამაზე საქართველოს მოქალაქეების მისაღებად დადგენილი მოთხოვნები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. ადსუ-ში ჩასაბარებლად მათ უნდა აჩვენონ ან 80% ინგლისური ენის გამოცდაში ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხვის შემთხვევაში, ან უნდა წარმოადგინონ B2 დონის ინგლისური ენის სერტიფიკატი.
 - უცხოელებისთვის B2 დონის ინგლისური ენის სერტიფიკატი არის ჩარიცხვის ერთადერთი მოთხოვნა, გარდა უცხო ქვეყანის სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლებისა. თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია: „თუ კანდიდატი ჩაიჭრება ენის გამოცდაში და ვერ დაამტკიცებს ენის ცოდნას B2 დონეზე, მას უფლება აქვს 2 კვირის განმავლობაში მეორედ გაიაროს გამოცდა, რომლის ადმინისტრირირებასაც ასევე უნივერსიტეტი ახდენს“. რადგან გარკვეული ექვები გაჩნდა ენის ასეთ მცირე ხანში გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, დეტალური აღწერა იქნა მოთხოვნილი, მაგრამ დამაკმაყოფილებელი განმარტება ვერ მოგვაწოდეს. რადგანაც როგორც სწავლება, ისე გამოცდა ორგანიზებულია ადსუ-ს მიერ, ოპტიმალური იქნება ყველა კანდიდატისთვის, გამონაკლისის გარეშე, მოთხოვნად დაწესდეს B2 დონის სერტიფიკატი.
 - ბიოსამედიცინო საგნები არ არის შეფასებული, რაც სასურველია ისეთი სტუდენტების მიღების უზრუნველსაყოფად, რომლებსაც აქვთ პროგრამის ათვისებისთვის შესაბამისი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები.
 - სტუდენტთა მიღება იგეგმება წელიწადში ერთხელ შემოდგომის სემესტრში.
 - პროგრამის დაწყებიდან დაგეგმილია 150 სტუდენტის ჩარიცხვა. სტუდენტთა რაოდენობის სამომავლო გეგმის შესახებ განცხადება არ არის მოცემული. სტუდენტთა მიღება მჭიდროდ არის დაკავშირებული განათლების ხარისხთან, ამგვარად, მიღებული სტუდენტების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის შესაძლებლობას მის ყველა ეტაპზე (WFME-ის სტანდარტები).
- არ არის ნათლად განმარტებული სტუდენტების ტრანსფერი, რაც ადსუ-ს მიერ „მობილობად“ განიხილება, როგორც ინტერვიუს დროს გამოვლინდა. თვითშეფასებაში განაცხადი ამის შესახებ დამაბნეველია და არ იძლევა ზუსტ განმარტებას: „უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ჩარიცხვა ან გადმოსვლა ექიმის ხარისხის აღიარებულ პროგრამაზე ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე. მობილობა სადოქტორო ხარისხის პროგრამაზე შეიძლება განხორციელდეს წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადაში, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სავალდებულო პროცედურებისა და წესების შესაბამისად. უნივერსიტეტმა შეიმუშავა სხვა უნივერსიტეტებში მიღებული კრედიტების აღიარების წესი, რაც შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. ამ წესის თანახმად, სპეციალური კომისია (დეკანი, პროგრამის კოორდინატორი, სასწავლო პროცესის ადმინისტრატორი) ამოწმებს კურსებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობაში; საჭიროების შემთხვევაში, კომისია დამატებითი კონსულტაციისთვის მიმართავს წამყვანი კურსის/კურსების პროფესორებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას სტუდენტის ინტერესის გათვალისწინებით“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი განათლების - მედიცინის დარგობრივი მახასიათებლები
- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტები
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანისაგანმანათლებლო პროგრამა

○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუები ადსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და მენეჯმენტთან ○ დანართი 4, 12
რეკომენდაციები: დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში განათლების ხარისხის შესანარჩუნებლად რეკომენდებულია: a) მოხდეს ჩასარიცხი სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობის სარეზერვო გაანგარიშება; b) გადმოსული სტუდენტებისადმი უნდა გამოვლინდეს მაღალი შერჩევითობა, მას შემდეგ რაც ეს პროგრამის ნაწილი გახდება. უნდა განისაზღვროს მკაფიო კრიტერიუმები სტუდენტების ტრანსფერისთვის, მაგ. ჩარიცხვამდე დროის წყვეტის მაქსიმალური ხანგრძლივობა, ჩარიცხვის მაქსიმალური წელი, როდესაც ინტეგრირებულია სასწავლო გეგმა, კრედიტის აღიარება, მათ შორის მხოლოდ იმ საგნების, სადაც სტუდენტს აქვს მოპოვებული შეფასების 81% -ზე მეტი (A, B დონე), ცოდნის შეფასების გზები, დანარჩენი საგნების კომპეტენციები (MCQ ტესტი, ზეპირი გამოცდა, OSPE, OSCE), ქართული ენის ცოდნა, რადგან ეს ისწავლება მხოლოდ სწავლის დასაწყისში. თითოეული ტრანსფერისთვის დაშვება ნათლად უნდა იყოს დოკუმენტირებული შემდგომი შეფასებისთვის. გადმოსული სტუდენტების პროცენტული წილი თითოეულ სასწავლო წელს არ უნდა აღემატებოდეს 5%-ს პროგრამის განხორციელების სულ მცირე პირველი სამი წლის განმავლობაში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ყველა უცხოელ სტუდენტს გამონაკლისის გარეშე მოთხოვეთ B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
--

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმომხილვა და ანალიზი

- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა არის ინტეგრირებული როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური ინტეგრაციით და შედგება ექვსი მოდულისგან: სიცოცხლის სტრუქტურა (19 კრედიტი), სიცოცხლის კონტროლი (44 კრედიტი), სიცოცხლის ციკლი (43 კრედიტი), სიცოცხლის შენარჩუნება (50 კრედიტი), სიცოცხლის დაცვა (39 კრედიტი) და სიცოცხლის მხარდაჭერა (36 კრედიტი). ამ 6 მოდულისთვის 231 კრედიტია გამოყოფილი. კრედიტების განაწილების მიხედვით, კიდეც 16 კრედიტი ენიჭება არჩევით კურსებს, 2 კრედიტი - ქართულ ენას, 2 - პროფესიულ ინგლისურს, 42 - სხვადასხვა სახის სამეცნიერო კომპონენტს, 4 - ეთიკასა და იურიდიულ ასპექტებს, ხოლო ბოლო 63 კრედიტი - ექვსი მოდულის სხვადასხვა კომპონენტს, რაც მთლიანობაში შეადგენს 360 კრედიტს. თითოეულ კრედიტისთვის გამოყოფილია 30 საათი. სასწავლო გეგმა მოიცავს უმეტეს დარგებს, მათ შორის საზოგადოებრივ ჯანდაცვას, სამედიცინო ფსიქოლოგიას, ბიოეთეკას, კომუნიკაციის უნარ-ჩვევებსა და კვლევებს. სილაბუსები კომპლექსურია და მოიცავს ყველა სახის ინფორმაციას, მათ შორის კურსის კოდს, მოდულს, სილაბუსის ავტორ(ებ)ს, ელექტრონული ფოსტის მისამართ(ებ)ს, წინაპირობებს, ვადას, სტატუსს, ენას, მიზანს, შედეგებს, კომპეტენციებს, სწავლების მეთოდებს, შეფასების სისტემას, სასწავლო ლიტერატურას, კურსის ფორმატსა და სწავლის შედეგების რუკას. მათში მოცემული არაა ინფორმაცია რომელიმე სასწავლო კურსის ტუდენტთა ჯგუფის მოცულობის ან სწავლების რომელიმე მეთოდის (სტუდენტების-მასწავლებლის თანაფარდობა) შესახებ. გარდა ამისა, აღნიშნული არაა ადგილი (ადგილები), სადაც განხორციელდება სწავლების თითოეული ნაწილი. იმის გამო, რომ ამას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება განსაკუთრებით ახალი პროგრამის შემთხვევაში, მეტი სიცხადისთვის მოთხოვნილ იქნა გრაფიკი (თანდართული).
- კურსი მთლიანობაში მოიცავს 10800 საათს, აქედან 5715 - საკონტაქტო საათია, ხოლო 5085 - დამოუკიდებელ მუშაობას ეთმობა.
- განხორციელდა პირველი სემესტრის საგნის -MD06 კლინიკური დიაგნოსტიკის საფუძვლების სიღრმისეული ანალიზი. ეს საგანი ისწავლება მე-19-მე-20 კვირის განმავლობაში და აქვს ერთი წინაპირობა -MD05, რომელიც ისწავლება მე-16-მე-18 კვირაში. სტუდენტთა დატვირთვა სილაბუსის განაცხადის მიხედვით გაანგარიშებულია 60 საათზე (ლექცია - 6 საათი, პრაქტიკული სამუშაო - 24, დამოუკიდებელი მუშაობა - 28, დასკვნითი გამოცდა -2). როდესაც კურსის შინაარსი შეფასდა, აღმოჩნდა, რომ ლექციებისთვის განსაზღვრული იყო 5 საათი, ხოლო პრაქტიკული მუშაობისთვის კი - 20 საათი (აქედან 10 კლინიკურ გარემოში). როდესაც მოხდა ცხრილის განხილვა როგორც პროგრამის ხელმძღვანელებთან, ისე ლექტორებთან ინტერვიუების დროს, გაირკვა, რომ დაგეგმილი იყო ლექციების 10 საათი და 30 საათი პრაქტიკული სამუშაო. ორივე ორმაზათს ყველა სტუდენტს ჩაუტარდება ლექციების ათი საათი, რომელიც ორად იქნება გაყოფილი. სხვა დღეებში დაგეგმილია პრაქტიკული სამუშაო ჯგუფებში. პრაქტიკული მუშაობისთვის სტუდენტები იყოფიან 6 ჯგუფად, თითოეულში 25 სტუდენტია. თითოეული ჯგუფისთვის გამოყოფილია ექვსი 5-საათიანი დროის ბლოკი. ორმაზათის გარდა, ყოველდღე პარალელურად დაგეგმილია პრაქტიკული მუშაობის ოთხი ბლოკი (9-დან 14-მდე და 14-დან 19-მდე), ხოლო ორი ბლოკი - შაბათისთვის. ამ საგნის ყველა ნაწილის სწავლების გარემოდ განსაზღვრულია ლექციების დარბაზი და პატარა ოთახები აღმაშენებლის ქუჩაზე. როგორც ინტერვიუს დროს გაირკვა, პრაქტიკული სამუშაოს 24 საათიდან 10 საათი კლინიკურ სამუშაოს ეთმობა. 25 სტუდენტისგან შემდგარ ჯგუფებში მხოლოდ თეორიული სწავლება ჩატარდება. 150 სტუდენტის სწავლების ამ ორი კვირისთვის დანიშნულია მხოლოდ ორი მოწვეული პედაგოგი (ერთი არის სხვა ახალი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც ასევე

მონაწილეობს სხვა საგნების სწავლებაში, მაგ. MD16, მეორე კი არის კლინიკაში სრულ განაკვეთზე მომუშავე ექიმი, რომელიც ასევე ჩართულია სხვა სამი საგნის სწავლებაში (MD 26, 27, 32)). ○ უფრო მეტიც, რამდენიმე საგნისთვის (მაგ. MD16 სიცოცხლის ციკლი 1 (ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია და ციტოლოგია 4, გენეტიკა, პათოლოგია 5, შინაგანი დაავადებების პროპადევტიკა) პრაქტიკული ტრენინგი გულისხმობს მხოლოდ მიმდინარე თემების განხილვას და თეორიული მასალის ყოველდღიურ შემოწმებას, რაც არასაკმარისია და არ არის შესაბამისობაში მისანაჭებელ კვალიფიკაციასთან და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევასთან. ○ როგორც ინტერვიუს დროს გაირკვა, დაინტერესებული მხარეების მხოლოდ ნაწილი (პერსონალის ერთი ნაწილი) მონაწილეობდა პროგრამის დიზაინში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უმაღლესი განათლების - მედიცინის დარგობრივი მახასიათებლები ○ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტები ○ დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სილაბუსები ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები: წერილობითი დოკუმენტები რეალობას უნდა ასახვდეს. განსაზღვრული უნდა იყოს მთელი წლის პროგრამის დეტალური გრაფიკი, მათ შორის, მასწავლებლ(ებ)ის სახელ(ებ)ი, თითოეული ჯგუფის მოცულობა, დრო და ადგილი, სადაც განხორციელდება კონკრეტული სწავლება და სადაც დაიშვება ნებისმიერი სტუდენტი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი ➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის
--

სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმომხილვა და ანალიზი

- პირველი სემესტრიდან არსებობს წინაპირობების საკმაოდ დახვეწილი სისტემა, რომელიც არ იძლევა სწავლის გაგრძელების საშუალებას იმ შემთხვევაში, თუ სემესტრის წინა ნაწილი არაა დამაკმაყოფილებლად დაფარული.
- სტუდენტთა სავალდებულო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია კომპეტენციების ეროვნულ სტანდარტებთან და პროგრამის სწავლის შედეგებთან.
- ამასთან, როგორც ინტერვიუების დროს გაირკვა, პროგრამის ორივე ხელმძღვანელთან, ყველა სტუდენტი (დაგეგმილია 150 სტუდენტის მიღება) დაიწყებენ კურსებს ერთი და იმავე დროს, გაიყოფიან 6 ჯგუფად (თითო ჯგუფში 25 სტუდენტი) და არ ექნება ადგილი კურსების როტაციას. ცხრილის მიხედვით სემესტრი იწყება შესავალით მედიცინის მეცნიერება I, (ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია, ციტოლოგია, სამედიცინო ბიოქიმია¹) 4 კვირის მანძილზე. აღნიშნული მოდულის ანალიზი განხორციელდა ცხრილის და კურსის შეინაარსის მიხედვით. ორი მოწვეული პროფესორი არის აღნიშნული კურსის აღწერილობაში. სწავლება ყველა სტუდენტისათვის დაგეგმილია ორშაბათობით, სხვა დღეებში სწავლება ხორციელდება 2-4 აუდიტორიაში პარალელურად(მაგალითი შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ), სამი კვირის მანძილზე შაბათამდე, მეოთხე კვირაში ოთხშაბათამდე. დაგეგმილია 2 საათიანი გამოცდა პარალელურ რეჟიმში 6 ჯგუფთან. თუ პირველ მოდულში (კვირა 1-4) რამოდენიმე სტუდენტი ჩაიჭრება (მაგ. 2 ჯგუფი) შემდეგი ოთხი კვირა აღნიშნული ორი ჯგუფი გაიმეორებს წინა ოთხი კვირის ცხრილს, ხოლო დანარჩენი 4 ჯგუფი გააგრძელებს ლექციებს დაგეგმილი ცხრილის მიხედვით. აღნიშნული პრინციპი მოქმედებს სხვა მოდულებისათვისაც. სტუდენტები რომლებიც ჩაიჭრებიან ბოლო კურსზე, სემესტრი გაუგრძელებათ 4 კვირით.

9:00	ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია, ციტოლოგია 1		ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია, ციტოლოგია 1	
10:00	ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია, ციტოლოგია 1		ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია, ციტოლოგია 1	
11:00	ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია, ციტოლოგია 1		ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია, ციტოლოგია 1	
12:00	ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია, ციტოლოგია 1	სამედიცინო ბიოქიმია 1	ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია, ციტოლოგია 1	სამედიცინო ბიოქიმია 1
13:00	სამედიცინო ბიოქიმია 1	ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია, ციტოლოგია 1	სამედიცინო ბიოქიმია 1	ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია, ციტოლოგია 1
14:00		ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია, ციტოლოგია 1		ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია, ციტოლოგია 1
15:00		ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია, ციტოლოგია 1		ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია, ციტოლოგია 1
16:00		ჰისტოლოგია,		ჰისტოლოგია,

		ემბრიოლოგია, ციტოლოგია 1		ემბრიოლოგია, ციტოლოგია 1
○ სწავლის ზოგიერთი შედეგი არ არის შეფასებული (მაგ. ქირურგია). ○ სილაბუსის თითოეულ კურსში მოცემულია შესაბამისი სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალი. ამასთან, როგორც ინტერვიუების დროს გაირკვა, ადსუ-ს არ აქვს რეკომენდებული ლიტერატურის ასლების საკმარისი რაოდენობა. გასაუბრებებზე ითქვა, რომ სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონულად ინტერნეტით. სტუდენტებს არ შეუძლიათ ჩამოტვირთონ სახელმძღვანელო, მაგრამ შეუძლიათ ყოველდღე ამოებეჭდონ მაქსიმუმ 20 გვერდი. ვინაიდან მხოლოდ 4 პრინტერია ხელმისაწვდომი და არ არსებობს ასლის გადასაღები მანქანა, ყველა სტუდენტისთვის არ არის უზრუნველყოფილი საკმარისი და თანაბარი წვდომა ლიტერატურის შესასწავლად. უფრო მეტიც, ხელშეკრულება ელექტრონული წიგნებისა და მონაცემთა ბაზების შესახებ ფორმდება მხოლოდ თვეში ერთხელ.				
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უმაღლესი განათლების - მედიცინის დარგობრივი მახასიათებლები ○ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტები ○ თვითშეფასების ნაგრაიში ○ სილაბუსები ○ ინტერვიუები				
რეკომენდაციები: ○ სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, შეასწორეთ შეფასებები, რომელიც სილაბუსს აკლია. ○ უზრუნველყავით შესაბამისი გარემოებები სილაბუსებში აღწერილი უნარების მიღწევის მიზნით. ○ უზრუნველყავით სტუდენტებისთვის შესაბამისი სასწავლო მასალის, მაგალითად, წიგნების (ასლის ან ელექტრონული წიგნების სახით) ხელმისაწვდომობა მთელი პროგრამის მსვლელობისას. გააფართოვეთ და შეინარჩუნეთ ონლაინ მონაცემთა ბაზების პორტფოლიო კურსის მსვლელობისას. ○ შეიმუშავეთ წესი სწავლის გაგრძელების/შეწყვეტისათვის იმ შემთხვევაში თუ პრერეკვიზიტები არ იქნება დამაკმაყოფილებლად შესრულებული.				
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის				
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):				
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი/აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)				
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან				

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ტრანსფერული უნარების განვითარება	და
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.	
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ სილაბუსში არის კვლევის კომპონენტი, მაგ. „სამეცნიერო კვლევის საფუძვლები“ და ბიოსტატისტიკა - „მედიცინის მეცნიერებათა შესავალი“ 1-4, კურსები ინტეგრირებულია. თუმცა, არ არის გამოყოფილი ბიუჯეტი სტუდენტთა კვლევითი საქმიანობისთვის, უფრო მეტიც არ არის ლაბორატორიები საბაზისო სამეცნიერო თუ კლინიკური კვლევების ჩასატარებლად. ○ აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი გეგმავს ფართოდ დაუჭიროს მხარი სტუდენტთა კვლევებს, კონფერენციებზე მათი დასწრებით. ○ სილაბუსში ნახსენებია პრაქტიკული უნარები, თუმცა გასაუბრების დროს გამოვლინდა, რომ პრაქტიკული მუშაობა ძირითადად დისკუსიებს გულისხმობს. რამდენადაც სასწავლო გეგმა ინტეგრირებულია, პაციენტთან ნაადრევი კონტაქტის მოლოდინი არსებობს. თუმცა, როგორც გასაუბრების დროს გამოვლინდა, პაციენტთან რეალური კონტაქტი არ არის დაგეგმილი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნახსენებია კურსში (მაგ. MD06). უფრო მეტიც, 1 პედაგოგზე 25 სტუდენტთან ჯგუფში რეალური პრაქტიკული სწავლების განხორციელება არადამაჯერებელია პრაქტიკული უნარების მოსაპოვებლად. ○ თვითშეფასებაში ნახსენები არის რომ კლინიკური უნარების ტრენინგი ჩატარდება „მედიქლაბ ჯორჯიაში“.	
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ უმაღლესი განათლების- მედიცინის დარგობრივი მახასიათებლები ○ დიპლომირებული მედიკოსის ერთ-საფეხურიანი პროგრამა ○ სილაბუსები ○ ინტერვიუები	
რეკომენდაციები: ○ შექმენით შესაბამისი ლაბორატორიები ძირითადი სამეცნიერო კვლევისთვის. ○ შექმენით შესაბამისი ლაბორატორიები კლინიკური სამეცნიერო კვლევისთვის. ○ გამოყავით ბიუჯეტი სტუდენტთა კვლევითი საქმიანობისთვის. ○ მოახდინეთ ფოკუსირება პრაქტიკული უნარების რეალურ განვითარებაზე. არ შეიძლება იყოს ასეთი შეუსაბამობა წერილობით დოკუმენტაციასა და განზრახულ სწავლებას შორის.	
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის	
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):	
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)	

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სილაბუსის თანახმად, SCL მეთოდები კარგად არის დაგეგმილი. თუმცა, სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდები დაკავშირებულია სტუდენტისა და მასწავლებლის ოპტიმალურ თანაფარდობასთან, რაც პროგრამის დაწყებამდე მკაფიოდ განსაზღვრული უნდა იყოს თითოეული ტექნიკისთვის, კერძოდ სემინარებისთვის, როლური თამაშებისთვის, დისკუსიებისთვის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისთვის, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლებისთვის, პაციენტის საწოლთან სწავლებისთვის და კომპეტენციაზე დაფუძნებული ინსტრუქტაჟისთვის.
- როგორც პირველ მოდულში არის აღწერილი „მოდული მიზნად ისახავს შეასწავლოს უჯრედების ნორმალური ფუნქციონირება ბიოქიმიის და მორფოლოგიური მახასიათებლების საშუალებებით“. მოდულის მიზანია შეასწავლოს მეტაბოლიზმი, მეტაბოლიური გზები და ორგანიზაციული პრინციპები, სტრუქტურული ორგანიზაცია და მათი ფუნქციონირება. დამატებით ის ამოწმებს უჯრედის მორფოლოგიურ მახასიათებლებს (ეპითელიუმი და დამაკავშირებელი უჯრედი) როგორც ფუნდამენტს მათი ნორმალური ფუნქციონირებისა და უკავშირდება კვლევის მეთოდებს გამოყენებით მიკროსკოპიულ ანატომიაში. უნარების გარდა ჩამოთვლილია, რომ სტუდენტს შეეძლება:
 - მოამზადოს ჰისტოლოგიური ნიმუში
 - ჰისტოლოგიური კვლევის ტექნიკის გამოყენება ნიმუშების მეშვეობით
 - სხვადასხვა ტიპის სისხლის უჯრედების იდენტიფიცირება
 - ელექტრონული მიკროგრაფიის გამოკვლევა და ინტერპრეტაციაასეთი უნარები მოითხოვს ლაბორატორიულ მუშაობას კარგად აღჭურვილ ლაბორატორიაში. დაწესებულება ფლობს 6 მიკროსკოპს, დაგეგმილი სტუდენტების რაოდენობა გულისხმობს 25 სტუდენტს ერთ ჯგუფში. ზემოთ მოყვანილი აღწერილობიდან გამომდინარე ნათელია, რომ სწავლის და სწავლების მეთოდები არ შეესაბამება სტუდენტის სწავლის შედეგებს და არ არის სარწმუნო მათ მიღწევაში.
- სწავლებისა და სწავლის მეთოდები უნდა იყოს მოქნილი, მაგრამ ამჟამინდელი სილაბუსი, უმრავი წინაპირობით, მკაცრია და არ აძლევს სტუდენტებს მოქნილობის საშუალებას, დროებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვისაც კი. ამ კონკრეტული შემთხვევისთვის საჭირო გამოსავალი ამჟამად მოქმედებს.
- უცხოელი სტუდენტების საჭიროებები გათვალისწინებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ უმაღლესი განათლების- მედიცინის დარგობრივი მახასიათებლები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სილაბუსები ○ დიპლომირებული მედიკოსის ერთ-საფეხურიანი პროგრამა ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები: განსაზღვრეთ და მკაცრად დააკვირდით სტუდენტებისა და მასწავლებლების თანაფარდობას სწავლებისა და სწავლის თითოეული მეთოდისთვის. დარწმუნდით რომ სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის შესაძლებლობებს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ყურადღება გაამახვილეთ სილაბუსების მოქნილობაზე
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. ○ შეფასების სისტემა კარგად შედგენილი და ჩამოყალიბებულია, შეფასების კომპონენტები თითოეული საგნისთვის სათანადოა. შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. არსებობს ფორმულა, რომელიც გამოიყენება შეფასების დასაანგარიშებლად, რამდენადაც ინტეგრირებული მოდულის თითოეულ ნაწილს სხვადასხვა წონა აქვს. შეფასება წარმოებს 100 ქულიანი ინტერვალით (A-E, 100 – 51 ქულა). სტუდენტის შეფასება 41-50 ქულა (FX) გულისხმობს რომ სტუდენტს შეუძლია გადააბაროს გამოცდა. ხოლო თუ შეფასება არის 40 ქულაზე ნაკლები (F), სტუდენტს შეუძლია კიდევ ერთხელ გაიაროს დისციპლინა. ○ შეფასება განხორციელდება სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტის მიერ. ○ ვიზიტის დროს მრავალი კითხვა დაისვა პროგრამის ორივე ხელმძღვანელთან თუ

როგორ მოხდება კონკრეტულ საგნებში შეფასება. გამოცდა ჩატარდება წერილობითი ფორმით. არანაირი ელექტრონული საშუალებები არ გამოიყენება. ყველა ტესტი შემოწმდება სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტის მიერ, რაც მოითხოვს ძალიან დიდ დროს. ამასთანავე, როდესაც ერთი კურსი არის მეორე კურსის წინაპირობა შეფასება უნდა მოხდეს ლიმიტირებულ დროში. განხილვის დროს ხარისხის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ პროგრამის სტუდენტები, რომლებიც ჩართულები არიან სასწავლო პროცესში შეძლებენ შეაფასონ ტესტები. ○ ასევე უნდა იყოს შუალედური გამოცდები, რაც არ არის მითითებული ცხრილში და აღნიშნულია მხოლოდ ფინალური გამოცდა. ○ შეფასებისთვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები - ტესტები, ქვიზები, ღია კითხვები, შემთქმვეის ანალიზები, პრობლემის ანალიზი, პრეზენტაცია , ანკეტები და OSCE. რამდენადაც OSCE ნახსენებია შეფასების ერთ-ერთ მეთოდად, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რომ შესაბამის აკადემიურ პერსონალს მიეწოდებოდეს ცოდნა OSCE-ს შესახებ და იცოდნენ მისი განხორციელება სრულყოფილად, და არამხოლოდ ნაწილობრივ. ○ გეგმა OSCE-ს განხორციელების შესახებ ნახსენებია თვითშეფასების ანგარიშში, ასევე პროგრამის აღწერაში, სადაც აღნიშნულია, რომ დეტალურად ყველაფერი გაწერილია შესაბამისი კურსის სილაბუსში. თუმცა, ვერცერთ კლინიკურ საგანში (მაგალითად გინეკოლოგია, ქირურგია, შინაგანი მედიცინა, პედიატრია) ვერ მივაგენით OSCE-ზე მითითებას. ○ თვითშეფასების ანგარიშსა და პროგრამის აღწერაშიც არის მოცემული გზები, თუ როგორ იღებენ სტუდენტები უკუკავშირს, მათ შორის ძლიერ და სუსტ მხარეებზე. თუმცა ინტერვიუს დროს გამოვლინდა რომ აღნიშნული სისტემა არ არის მიღწევადი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უმაღლესი განათლების- მედიცინის დარგობრივი მახასიათებლები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სილაბუსები ○ დიპლომირებული მედიკოსის ერთ-საფეხურიანი პროგრამა ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები: დაამატეთ მოდულების/კურსების/საგნების ჩამონათვალი, სადაც OSCE არის ნახსენები, როგორც შეფასების ნაწილი; შეიტანეთ აღნიშნული ინფორმაცია შესაბამის სილაბუსებში დოკუმენტები უნდა ასახავდნენ რეალობას. ჩამოაყალიბეთ და აღწერეთ შეფასების ცხრილი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამისათვის სების შეფასების ადეკვატურობა				✓

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტში, სტუდენტზე ორიენტირებული სისტემის ფარგლებში, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის მართვაში, რაც უზრუნველყოფილია სტუდენტური თვითმმართველობის არსებობით, რამდენადაც უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია უზრუნველყოს სტუდენტური თვითმმართველობის სისტემის დამოუკიდებლობა და მათი ჩართულობა უნივერსიტეტის მართვაში. ეს მიღწეულია სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის წევრობით აკადემიურ საბჭოში. ყველა სტუდენტს აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში. სამოქმედო გეგმა თავისი ბიუჯეტით, უზრუნველყოფს სტუდენტური თვითმმართველობის ფინანსურ მხარდაჭერას 3 მომდევნო წლის განმავლობაში, მხარდი დინამიკით.

სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, არსებობს შემდგომი რამდენიმე გზა (თუმცა არამხოლოდ) სტუდენტთა სათანადო კონსულტირების და მხარდაჭერის მისაღწევად სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმებისა და პროფესიული განვითარების შესახებ:

- უწყვეტი და ავტომატიზირებული სტუდენტზე ორიენტირებული სერვისები - როგორცაა ელექტრონული ბაზები, სპეციალური პროგრამები, საგამოცდო ცენტრები და სხვა.

- მოქნილობა-თავისუფლება კრედიტის დაგროვების შესაძლებლობებში -არჩევით კურსებზე ჩარიცხვის შესაძლებლობა და სხვა.
- *აკადემიური კონსულტაცია:* - გულისხმობს პროცედურებს ან დაწესებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფს შესაძლებლობებს კონსულტაციის ჩასატარებლად (საკონსულტაციო საათები პროფესორებთან, კონსულტაციები უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან და სხვა). ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ აკადემიური და ასევე მოწვეული პერსონალიც, მზად არის მონაწილეობა მიიღოს საკონსულტაციო საათებში, როგორც პირისპირ , ისე ონლაინ კომუნიკაციის მეშვეობით.
- სტუდენტური წარმომადგენლობა - როგორცაა თვითმმართველობის არსებობა და მისი მონაწილეობა საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებების მიღებაში.
- კარიერული კონსულტაცია - გულისხმობს პროცედურებს, რომლებიც უზრუნველყოფს ზემოხსენებული კონსულტაციების ჩატარებას (კარიერული ცენტრები, ტრენინგები/პრაქტიკუმები, თვითგანვითარებაზე ორიენტირებული სტაჟირებები, დამსაქმებელთან ურთიერთობა სტუდენტების დასაქმების ხელშესაწყობად).

სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის არსებითი ნაწილების განხორციელება დამოკიდებულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების განყოფილებაზე (მოიცავს მთავარ მიმართულებებს- სტუდენტთა მომსახურება, საგამოცდო პროცესის ადმინისტრირება, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეგისტრაცია, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის ადმინისტრირება, კულტურისა და სპორტის განვითარება, დისციპლინათა განრიგის ადმინისტრირება და ცენტრალიზებული დაგეგმვა და ა.შ), რომელიც ასრულებს შემდგომ დავალებებს:

- საგანმანათლებლო პროცესის მუდმივი კონტროლის ადმინისტრირება;
- სასწავლო პროცესსა და საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ყურადღების სწორად მიმართვა;
- სასწავლო პროცესის ორგანიზება, განვითარება და კონტროლი;
- სტუდენტთა კონტრაქტების და სასწავლო პროცესის შესაბამისი მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
- ლექციების, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის განრიგის დაგეგმვა და პროცესის შესაბამისად ადმინისტრირება;
- თითოეული ლექტორის/მოწვეული პერსონალის ჩატარებული სალექციო საათების მონიტორინგი სემესტრის განმავლობაში; ყოველკვირეული ანგარიშის მომზადება და რექტორისთვის წარდგენა;
- ერთიანი საგამოცდო სისტემის ჩამოყალიბება და განხორციელება;
- საგამოცდო პროცესის და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი და სტატისტიკის ჩამოყალიბება;
- სტუდენტთა სოციალიზაციის მიზნით, სპეციალურ საჭიროების მქონე პირთა საჭიროებების განსაზღვრა, მომსახურების უზრუნველყოფა და ადაპტირებული გარემოს შექმნა;
- ინდივიდუალური პროფილის შექმნა სტუდენტთა ადმინისტრაციის სისტემაში, რეგულარული მონიტორინგი ინფორმაციის გასაახლებლად, ანალიზი და მონაცემთა ბაზის დახვეწა.

აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი თავის მეორე სტრატეგიულ მიზანში ასახელებს სტუდენტზე ორიენტირებული სისტემის განხორციელებასა და განვითარებას, რომელიც სტუდენტს სთავაზობს სოციალური მხარდაჭერის პოლიტიკას, რაც გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ დახმარებას სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის, ეს გამოიხატება გრანტებისა თუ სტიპენდიების გაცემით და

ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით და პროფესიულ პროექტებში მათი მონაწილეობის ხელშეწყობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სტრატეგიული განვითარების გეგმა ○ უნივერსიტეტის შინაგანაწესი ○ აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის წესდება ○ 2019-2021წწ. სამოქმედო გეგმა (სტრატეგიული მიზნებით) ○ სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტის დებულება ○ გასაუბრებების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთამილწევები, მათთანინდივიდუალურიიმუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების სამსახური და ასევე უნივერსიტეტს აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. აკადემიური პერსონალის პროგრამაში ჩართულობის აღწერა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.
- თვითშეფასების ანგარიშში ნახსენებია 20 აკადემიური (13 აფილირებული და 7 არა აფილირებული) და 57 მოწვეული პერსონალი (1.0:2.8 თანაფარდობით). რეზიუმეების მიხედვით, მათი კვალიფიკაცია შეესაბამება თანამდებობებისთვის საჭირო

საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თუმცა, ბევრ რეზიუმეში არ არის ნახსენები აფილირება ადსუ-სთან, რეზიუმეების უმრავლესობა საჭიროებს განახლებას. უფრო მეტიც, არ არის მოცემული წყობა, თუ რა სახის ინფორმაცია უნდა იყოს მოყვანილი, შესაბამისად ამ დოკუმენტებში ორიენტირება ბევრ დროს მოითხოვს და ხშირად დამაბნეველია. იმის გამო, რომ კვალიფიციურ პერსონალს უადრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მოთხოვნილ იქნა განახლებული ინფორმაცია აფილირებული და მოწვეული აკადემიური პერსონალის ამჟამინდელი სამუშაო დატვირთვის შესახებ საავადმყოფოებში/ინსტიტუტებში/სხვა უნივერსიტეტებში და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამებში. ინფორმაცია მოწოდებული უნდა ყოფილიყო სრული განაკვეთის ექვივალენტის (FTEs) შესაბამისად და დასაბუთებული უნდა ყოფილიყო სამუშაო დატვირთვის პროცენტულობა ადსუ-ში. ეს ინფორმაცია არ იქნა მიღებული, მიუხედავად იმისა, რომ განმეორებითი მოთხოვნა გაიგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდანაც (NCEQE). სწორედ ამიტომ მოიძებნა ეს ინფორმაცია NCEQE-ს მონაცემთა ბაზაში. მონაცემთა ბაზის მიხედვით, ადსუ-ს ჰყავს ერთი აფილირებული პროფესორი, რომელიც IT სპეციალისტია. 13 აფილირებული პერსონალიდან, 8 აკადემიურ პერსონალზე ინფორმაცია ვერ მოვიძიეთ; დანარჩენი ხუთიდან კი სამი მოწვეული მასწავლებელია და ორი კი სხვა სამედიცინო პროგრამებთან არიან დაკავშირებული. რაც შეეხება 7 არააფილირებულ აკადემიურ პერსონალს - ხუთი ასოცირებულია სხვა სამედიცინო პროგრამებთან, ხოლო დანარჩენ ორზე ინფორმაცია ვერ მოიძებნა. ეს მიუღებელია და აბსოლუტურად შეუფერებელი. სხვა სამსახურებში (ჯანდაცვის მომსახურება, კვლევითი ინსტიტუტები, სააგენტოები და ა.შ) სამუშაო დატვირთვის შესახებ არანაირი საერთო მონაცემები არაა ხელმისაწვდომი.

- აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი არ ითხოვს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტს სასწავლო პერსონალისგან.
- მოქმედებს ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის არჩევისა და დასაქმების სისტემა.
- თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში 137 სტატია გამოქვეყნდა საერთაშორისო ჟურნალებში, 94 - ადგილობრივ ჟურნალებში. გაჩნდა კითხვა ადსუ-სადმი ნაშრომების მიწერის/მიკუთვნების შესახებ. დადასტურდა, რომ დასახელებული ნამუშევრებიდან არცერთი არ იყო მიწერილი/მიკუთვნებული ადსუ-ზე. ეს ნიშნავს, რომ ეს ნამუშევრები უამრავ სხვა სააკრედიტაციო განაცხადში იქნება ნახსენები, რადგან ერთი და იგივე პერსონალი შეიძლება რამდენიმე პროგრამაში.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის სტუდენტთა რაოდენობასთან მიმართებით განსაზღვრის მეთოდოლოგია არ იყო ნახსენები წერილობით მასალებში, გასაუბრებების დროს კი სხვადასხვა რიცხვები გვითხრეს. სტუდენტთა მიღება მჭირდოდ არის დაკავშირებული განათლების ხარისხთან, ამგვარად, სტუდენტთა კონტინგენტის ზომა უნდა შეესაბამებოდეს მის შესაძლებლობას პროგრამის ყველა ეტაპზე (WFME, BME სტანდარტები).
- ბევრ საგანზე, პერსონალის (აფილირებული თუ მოწვეული) მხოლოდ ერთი წევრია მიმაგრებული, შემცვლელების გარეშე.
- თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს სათანადო კვალიფიკაცია აქვს. ამჟამად, უნივერსიტეტში 22 ადმინისტრაციული თანამშრომელია. ყველა კლინიკურ გარემოში საერთოდ არ არის ადმინისტრაციული პერსონალი.
- პროგრამის ორივე ხელმძღვანელი სრულად კვალიფიციური კადრია და პირადად არიან ჩართული პროგრამის განვითარებასა და შეფასებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ თვითშეფასების ნაგრაიში ○ ინტერვიუები ○ NCEQE-ს მონაცემთა ბაზა ○ პერსონალის პირადი საქმეები ○ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტები
რეკომენდაციები: ○ აფილირებული პერსონალი უნდა იყოს მითითებული განათლების ხარისხისგანვითარებისეროვნული ცენტრის (NCEQE) მონაცემთა ბაზაში, რომელიც წარმოადგენს განახლებული ინფორმაციის რელევანტურ წყაროს. ○ გაზარდეთ პედაგოგიური პერსონალი, რომელიც იდეალურ შემთხვევაში, სრულ განაკვეთზე იმუშავებს. ნახევარ განაკვეთზე მომუშავე პერსონალისთვის უნდა შეიქმნას ადსუ-ში მუშაობისთვის მზადყოფნის წერილობითი დადასტურება, რომელშიც განსაზღვრული იქნება სამუშაო დატვირთვის პროცენტულობა. საჭიროა ზუსტი გაანგარიშება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სათანადო სწავლება და კლინიკური მომზადება. ოპტიმალური გაანგარიშება იძლევა სრული განაკვეთის ექვივალენტს (FTE). როდესაც მედიცინის სკოლა დაასაქმებს მნიშვნელოვანი რაოდენობის ნახევარ განაკვეთზე მომუშავე პერსონალს, სასარგებლო იქნება მათი ნამუშევარი საათების კონვერტაცია სრული განაკვეთის ექვივალენტად, რათა დაინახოთ თუ რამდენ სრულ განაკვეთთან თანამშრომელს უტოლდება მათი მუშაობა. უაღრესად რეკომენდებულია, რომ FTE გამოიყენოთ მედიცინის სადოქტორო პროგრამის დასაწყისშივე და ხელახალი გაანგარიშება მოახდინოთ თითოეული ვადისთვის. მისი გამოყენება უნდა მოხდეს მოწვეული პერსონალისთვის, სადაც მხოლოდ საკონტაქტო საათები ანგარიშდება, მაგრამ ასევე აფილირებული პერსონალისთვისაც, სადაც მხოლოდ სწავლებისთვის დათმობილი სათანადო საათების დაანგარიშება განხორციელდება. ○ გაზარდეთ ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა კლინიკურ გარემოში მომუშავე თანამშრომლების ჩათვლით. ○ სტუდენტებისა და მასწავლებლის განსაზღვრული თანაფარდობის მიხედვით, მკაცრად შეინარჩუნეთ სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა სწავლების თითოეული ტექნიკისთვის. ○ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხოლოდ ის სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც ეკუთვნის ადსუ-ს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროფესიული რეზიუმეები (CV) უნდა განახლდეს პერიოდულად, სავარაუდოდ, ყოველწლიურად, აკადემიური საქმიანობის რეგულარული შეფასების მიხედვით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი/აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს თავის სტრუქტურაში აქვს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების სამსახური, რომელიც სხვა საქმიანობასთან ერთად, მონიტორინგს უწევს თანამშრომლების კომპეტენციის შესაბამისობას მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებთან (http://www.eastwest.edu.ge/files/file_16.pdf), მაგრამ თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს აქვს ეს ფუნქცია. ფუნქცია და ორმხრივი თანამშრომლობა ამ სამსახურებს შორის არ არის ნათლად დასახელებული.

ასევე აღნიშნულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად ატარებს შეხვედრებს, მაგრამ არ არის მკაფიოდ მითითებული თუ რა სიხშირით ტარდება ეს შეხვედრები. თვეში ერთხე, წელიწადში ერთხელ....

რაც შეეხება ტრენინგებს, უამრავი სხვადასხვა სახის სერტიფიკატი არსებობს, სამწუხაროდ მრავალი მათგანი მხოლოდ ქართულ ენაზეა, ინგლისურენოვანებია მაგალითად პოდკასტის ტრენინგი, IT ტექნოლოგიები, ჯანდაცვის ტრენინგები და სხვა, თუმცა არცერთი ტრენინგია საგანმანათლებლო მეთოდოლოგიებზე, მათ შორის არც მაგალითად OSCE-ს ტრენინგი. რამდენადაც ეს დოკუმენტები არ არის დახარისხებული, ზოგიერთი რელევანტური დოკუმენტი შესაძლოა დაკარგული იყოს. არ არის დაგეგმილი ტრენინგი აკადემიური და მოწვეული პერსონალის საგანმანათლებლო ან კვლევითი უნარების გასაუმჯობესებლად.

გასაუბრებების დროს გამოვლინდა, რომ პროგრამის პერსონალი არ იღებს პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს, შესაბამისად ისინი სრულად ვერ აღიქვამენ თავიანთ როლს ამ სისტემაში. აკადემიურ პერსონალს სრულად არ აქვს გაცნობიერებული მედიცინის განმანათლებლის როლის სირთულე.

თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო განვითარებას, მაგრამ უნივერსიტეტის არსებობის სამი წლის განმავლობაში, არაფერი გამოქვეყნებულა ადსუ-ს სახელით, შესაბამისად ზემოთხსენებული განცხადების მტკიცებულებაც არ არსებობს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტები
- ინტერვიუები და ინტერესებულ პირებთან
- ვებ-საიტი

რეკომენდაციები:

- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიონალურ განვითარებაში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული მოვალეობები და ორმხრივი ურთიერთობები ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების სამსახურსა და ხარისხის

უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს შორის. ○ მკაფიოდ უნდა განისაზღვროს პერსონალთან შეხვედრების სიხშირე. ○ მოახდინეთ პერსონალის მომზადების შესახებ არსებული ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტის კატეგორიზაცია (მაგალითად, განათლება, სპეციალიზაცია და სხვა) და დროდადრო განაახლეთ ისინი. ○ უზრუნველყავით მტკიცებულების მოწოდება ადსუ-ს დაარსების დღიდან უნივერსიტეტში ჩატარებული ნებისმიერი სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ მიუხედავად კოვიდ-19-ის საფრთხისა, ექსპერტთა ჯგუფს ზოგიერთ კლინიკურ დაწესებულებაში ჩაუტარდა ტური. ჩანს რომ, ადეკვატური რაოდენობის საავადმყოფოები და კლინიკური სწავლებისთვის საჭირო სხვა გარემოები შესაძლოა არსებობს, ზოგიერთი დისციპლინისთვის მაინც. თუმცა, ამჟამად ჩვენს მიერ ნანახ არცერთ კლინიკურ გარემოში არ არის სტუდენტებისთვის განკუთვნილი სათანადოდ აღჭურვილი კომუნალური ოთახები. ○ ამჟამად, მედიცინის პროგრამას არ აქვს საკუთარი კლინიკური უნარების ცენტრი. არსებობს გეგმა რომ შეიქმნას ასეთი ცენტრი ბალნეოლოგიურ კლინიკაში, სადაც გვაჩვენეს 12 ობიექტისთვის განკუთვნილი შესაძლო სივრცე. კლინიკური უნარების პატარა ცენტრი (40 კვადრატული მეტი) ასევე იგეგმება ალადაშვილის კლინიკაში, ნაცვლად ორი პალატისა და ორი მედიკოსი თანამშრომლის ოფისისა. ამჟამად, იგეგმება რომ OSCE-თვის გამოიყენონ „მედიქლაზ ჯორჯიაში“ არსებული კლინიკური უნარების ცენტრი. ○ როგორც განმარტეს, ბიოქიმიისა და პათოლოგიის მსგავსი საგნების პრაქტიკული სწავლება ჩატარდება ალადაშვილის კლინიკაში. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა ამ ლაბორატორიებისა და პერსონალის ხილვით. გვაჩვენეს პათოლოგიის საგნისთვის გამოყოფილი 16 კვადრატული მეტრი მოცულობის სივრცე ერთი მიკროსკოპით და ლაბორატორიის სამი თანამშრომლით, რომლებიც ყოველდღიურ რუტინულ საქმიანობას ეწევიან. მსგავსი სიტუაცია დაგვხვდა ბიოქიმიის ლაბორატორიაში, სადაც არ იყო პირობები სტუდენტთა ჯგუფის რეგულარული სწავლებისთვის, არამედ

მხოლოდ ყოველდღიური რუტინული საქმიანობისთვის. პრობლემას წარმოადგენს ენობრივი ბარიერიც. მოგვიანებით, ადსუ-ს მთავარ კამპუსში ვერ აღმოვაჩინეთ პრე-კლინიკური საგნების სწავლებისთვის განკუთვნილი ლაბორატორიები. ერთ ოთახში, რომელიც გვაჩვენეს როგორც პლექლინიკური საგნებისთვის (ჰისტოლოგია, მიკრობიოლოგია და ა.შ.) განკუთვნილი ოთახი, ექვსი მიკროსკოპი იყო განთავსებული. ეს მიკროსკოპები მათ საშუალო სკოლამ გადასცა. კიდევ ერთი ოთახი იყო ანატომიისა და პათოლოგიის სწავლებისთვის განკუთვნილი ერთი სახეობის რამოდენიმე მოდელით. ეს არაადეკვატურია მედიცინის სწავლებისთვის. უფრო მეტიც, აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტს არ გააჩნია სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიები.

- ბიბლიოთეკა განთავსებულია მთავარ შენობაში. ამჟამად, ბიბლიოთეკაში 200 წიგნია, მათი უმეტესობა წარმოადგენს შემოწირულობას. სამკითხველო დარბაზშიარის 20 ლეპტოპი. უნივერსიტეტს არ აქვს რეკომენდებული ლიტერატურის ადეკვატური რაოდენობის ბეჭდური ვერსიები. ითქვა, რომ საჭირო სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით, ონლაინ. სტუდენტებს არ შეუძლიათ ჩამოტვირთონ სახელმძღვანელო, მაგრამ შეუძლიათ ყოველდღე ამოიბეჭდონ მაქსიმუმ 20 გვერდი. რამდენადაც მხოლოდ 4 პრინტერია ხელმისაწვდომი მთელს უნივერსიტეტში, მათგან ერთი ბიბლიოთეკაშია, ეს კი, არ უზრუნველყოფს სასწავლო მასალებზე საკმარის და თანასწორ წვდომას ყველა სტუდენტისათვის. უფრო მეტიც, ხელშეკრულება ელექტრონული წიგნებისა და მონაცემთა ბაზების შესახებ ფორმდება მხოლოდ თვეში ერთხელ.
- არ არის საგამოცდო ცენტრი.
- უსადენო ინტერნეტი ხელმისაწვდომია კამპუსის მთავარ შენობაში. შენობა, რომელიც მთავარ შენობად წარმოგვიდგინეს, არ არის შესაფერისი რომელიმე სამედიცინო პროგრამის ჩასატარებლად. სივრცე ძალიან შეზღუდულია, არასათანადოდაა მორგებული სტუდენტთა გათვალისწინებულ რაოდენობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადგილზე ვიზიტი
- ინტერვიუები
- თვითშეფასების ანგარიში
- ბიბლიოთეკა
- წვდომა საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზებთან
- ბიბლიოთეკის წიგნების შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;

რეკომენდაციები:

- შექმენით სათანადო კომუნალური ოთახები სტუდენტებისთვის ყველანაირ პრეკლინიკურ და კლინიკურ გარემოში
- შექმენით სათანადო ლაბორატორიები ძირითადი საგნების სწავლებისთვის, მათ შორის ანატომიის დანადგარით, რომელიც ამჟამად თითქმის სტანდარტული აღჭურვილობაა
- მოაწყეთ OSCE-ს ცენტრი
- შექმენით საგამოცდო ცენტრი
- შექმენით სათანადო ბიბლიოთეკა რელევანტური წიგნებისა და ჟურნალების ადეკვატური რაოდენობით
- უზრუნველყავით სათანადო ელექტრონული მონაცემთა ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სრული ხანგრძლივობისთვის (სულ მცირე).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური რესურსები ეკონომიკურად მიღწევადია. ოპერაციული და საინვესტიციო ხარჯები, რომლებიც დაგეგმილია ზრდისთვის, განვითარებისა და უწყვეტი საქმიანობისთვის, შეესაბამება სამ და შვიდწლიან გეგმებს. თუმცა, 2019-2021წწ. სამოქმედო გეგმაში ნახსენები ზოგიერთი საქმიანობა, სრულად არ არის დაფარული ფინანსურ განაცხადებსა და ბიუჯეტებში (მაგალითად სტრატეგიული მიზანი N4- ინტერნაციონალიზაციის განვითარება- არ არის მკაფიოდ აღწერილი ბიუჯეტში (დანართი 38)). სამოქმედო გეგმის ზოგიერთი სხვა ნაწილიც ასევე დეტალურად უნდა იყოს ნახსენები ფინანსურ დოკუმენტებში. წარმოდგენილი ბიუჯეტი და თანხის ბრუნვის დოკუმენტები მიღწევადია და კარგად განსაზღვრული. მეორეს მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მაღალი ზღვრების მიღწევა მუშაობის პირველ წელს, საკმაოდ უჩვეულოა. 55% EBITDA ზღვრის მიღწევა პროგრამის ჩაშვებიდან და უნივერსიტეტის ამოქმედებიდან მესამე წელს, ასევე რთული მისაღწევი იქნება. ეს პროგრამა იქნება ერთადერთი მთავარი შემოსავლის წყარო უნივერსიტეტისთვის, რაც არასაიმედოა. ადმინისტრაციასთან და დამფუძნებელთან ადგილზე განხორციელებული ინტერვიუების მიხედვით, არსებობს მყარი მტკიცებულება იმისა, რომ უნივერსიტეტმა შესაძლოა მიიღოს ფინანსური მხარდაჭერა აქციების მფლობელების მხრიდან, ფინანსური სირთულეების შემთხვევაში. აქციების მფლობელები გამოთქვამენ დამატებითი თანხების ინვესტირების სურვილს. უნივერსიტეტს არ აქვს ვალი და არაადეკვატური ფინანსური ვალდებულება, რაც აშკარად დადებითი მხარეა პროგრამის მდგრადობისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის შვიდწლიანი და სამწლიანი ბიზნეს გეგმები (დანართი 38);
- ინტერვიუები
- ბიუჯეტი (დანართი 38)
- ადგილზე ვიზიტი
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (დანართი 07);
- უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა (დანართი 08);
- უნივერსიტეტის საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური (დანართი 39);
- ხელშეკრულებები (დანართი 32)

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				✓

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმომოხილვა და ანალიზი

სტრუქტურული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია აღოსავლეთ დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმების განხორციელებაზე არის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური, რომლისმთავარი ამოცანა და ფუნქციები შესაბამისი დოკუმენტებით არის განსაზღვრული.

ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მთავარი მიზანია მაღალი ხარისხის სწავლებისა და სამეცნიერო მუშაობის უზრუნველყოფა უნივერსიტეტში.

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისთვის განკუთვნილი დოკუმენტების თანახმად, სამსახური გამოიყენებს PDCA მიდგომას.

მოკლევადიანი გეგმა მოიცავს:

- შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად, ყოველი სემესტრის დასაწყისში, საგანმანათლებლო პროგრამების გადახედვას, საჭიროებისამებრ მათში ცვლილებების შეტანას და განვითარებას;
- ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით პროგრამის განვითარების გეგმებს;
- აკადემიური პერსონალის საგანმანათლებლო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას და ახალი პერსონალის განვითარებას;
- სწავლების მეთოდების ეფექტურობის ანალიზს და სასწავლო პროცესში თანამედროვე მეთოდების დაგეგმვას;
- მიმდინარე პროცესების დაგეგმვას, მასალებისა და ადამიანური რესურსის გაუმჯობესებას და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას დაინტერესებულ მხარეთა (სტუდენტები, პერსონალი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორებისთვის გზებისა და საშუალებების დაგეგმვას;
- უნივერსიტეტისა და აკადემიური პროგრამების დამტკიცებისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგს და საჭირო აქტივობების დაგეგმვას.

გრძელვადიანი გეგმები მოიცავს:

- საერთაშორისო შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების ანალიზს და პროგრამების განვითარებისა და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვას;
- საერთაშორისო პროგრამებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობის დაგეგმვას;
- უნივერსიტეტს ექნება სპეციალური პორტალი განკუთვნილი იტნტერნეტ სივრცისთვის, სადაც სტუდენტებიც და პერსონალიც შეძლებენ საკუთარი მოსაზრებების, შეფასებებსა და შეთავაზებების გამოხატვას. მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დაევალება იმის განსაზღვრა, თუ რამდენად კორექტული და ეფექტიანია დაგეგმილი პროცესები.

არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმით, უზრუნველყოფილი იქნება: საგანმანათლებლო პროგრამების გადახედვა; ადამიანური რესურსების (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული) პერსონალი; უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების შემოწმება; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი; უნივერსიტეტის მიერ

უზრუნველყოფილი სერვისების შემოწმება; უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რელევანტურობის შეფასება; პერსონალისა და სტუდენტების აქტიური ჩართულობის შემოწმება უნივერსიტეტის მართვის პროცესში; საუნივერსიტეტო საზოგადოების სხვადასხვა საქმიანობების განვითარებაში გარე დაინტერესებულ პირთა ჩართულობის შემოწმება (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და ა.შ.).

უამრავი კითხვარი არსებობს ხარისხის შიდა მართვის აღნიშნული მიზნების განხორციელებისთვის, მაგრამ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალთან გასაუბრების დროს, ანონიმურობის, დროულობის, პროცედურების შესახებ მკაფიო განმარტებები არ მიგვიღია. რამდენადაც ყველაფერი დაგეგმილია ბეჭდური ფორმით - შეფასებების შეფასებაზე გაჩნდა კითხვები - როდის მოუწევთ სტუდენტებს კითხვარების შევსება, როგორ შეაგროვებენ ამ კითხვარებს, როგორ შეფასდება ისინი (იყო მოსაზრება, რომ ბიზნეს პროგრამის სტუდენტები გააკეთებენ ამას....). პერსონალისა და დამსაქმებელთა წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს პროგრამის ფორმირებაში საკუთარი წვლილის დემონსტრირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შეფასების შიდა მექანიზმი (დანართი 10)
- აკადემიური მართვის გზამკვლევი (დანართი 19)
- პროგრამის შეფასებები (დანართი 03)
- შეფასების ფორმები (დანართი 22)
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

უნივერსიტეტმა უნდა ჩამოაყალიბოს ხარისხის უზრუნველყოფის კულტურა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და რეალური პროცესების განხორციელება თანმიმდევრულად უნდა შეესაბამებოდეს იმ სისტემების აღწერას, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამის რეგულირებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

აღმოსავლეთ - დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების სისტემამ უნდა შეაფასოს სასწავლო - კვლევითი საქმიანობა, შეფასების შედეგების ანალიზი და მათი გამოყენება სწავლების / სწავლის პროცესის შემდგომი განვითარებისათვის, უნდა მოიცვას უნივერსიტეტის განვითარების შესაძლო დაგეგმვა, მართვა და მონიტორინგი, ხელი უნდა შეუწყოს სწავლების / სწავლის, კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესებას, უნდა განახორციელოს სტრატეგიული მიზნები და მისია.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის გარე შეფასება ჩატარდა უნივერსიტეტის ავტორიზაციის დროს. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ამჟამად უნივერსიტეტმა მიიღო პროგრამის დეტალური შეფასება რამდენიმე გარე ექსპერტისგან (პროფესორი დოქტორი ფაჰრედინ კელესტემური, დოქტორი მაჰრამ ნასიფოვი, ელი კაკიაშვილი). ამ შეფასებებსა და რეკომენდაციებს უნივერსიტეტი იყენებს და გამოიყენებს სამომავლოდ პროგრამის განვითარებისთვის (დანართები 22 და 03). ამას გარდა, უნივერსიტეტი გეგმავს, დაწესებულებისა და პროგრამების გარე შეფასების უზრუნველყოფას გარე შეფასების პროცესში უცხოელი ექსპერტების ჩართულობით და მუდმივი შეფასების შედეგების განხორციელებას. გასაუბრებებიდან გამოვლინდა რეალური პირობები და გარე ექსპერტთა-შემფასებელთა როლები. გარე ექსპერტთა რეკომენდაციებს რაც შეეხება, არ არსებობს რაიმე მტკიცებულება პროგრესის თაობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის ორი გარე შეფასება ერთმანეთის იდენტურია (ბატონი ნასიფოვი და ბატონი კელესტემური). დამსაქმებლებთან განხილვა რამდენჯერმე განხორციელდა, თუმცა მკაფიო რეკომენდაციების გარეშე - გასაუბრებისას როცა ვკითხეთ მათი მოთხოვნების შესახებ, ზუსტი პასუხი ვერ მივიღეთ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ შეფასების შიდა მექანიზმი (დანართი 10) ○ აკადემიური მართვის გზამკვლევი (დანართი 19) ○ პროგრამის შეფასებები (დანართი 03) ○ შეფასების ფორმები (დანართი 22) ○ თვითშეფასების ანგარიში ○ გარე შეფასებები
რეკომენდაციები: ○ გამოიყენეთ გარე შეფასების მექანიზმები, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკის ნაწილი. ○ დიპლომირებული მედიკოსის ხარისხის როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო აღიარების მოსაპოვებლად უნივერსიტეტმა უნდა გაწიოს მნიშვნელოვანი ძალისხმევა დამატებითი საერთაშორისო პარტნიორების გამოსავლენად, რომლებიც მისცემენ კონტექსტუალურ რჩევას ამ მიზნების მისაღწევად. ○ დაგეგმეთ სტუდენტზე ორიენტირებული რეალური სწავლის პროცესი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება □ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმომხილვა და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული განხილვა - დოკუმენტი ადგილზეა.

დოკუმენტების და თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკონტროლებს და რეკომენდაციას გასცემს პროგრამის ხარისხის თანდათანობით გაუმჯობესებაზე და თანამედროვე სტანდარტებთან მათ მიახლოებაზე. პროგრამის შეფასებიდან ჩანს: პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, ხორციელდება თუ არა პროგრამა გეგმის მიხედვით; შიდა შეფასების პროცესი ტარდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რომელიც იყენებს შემდეგ მექანიზმებს: აკადემიური პერსონალის თვითშეფასების კითხვარები, პროგრამის, ლექტორების და კურსების შეფასება სტუდენტების მიერ, და წლიური ანგარიში.

მიმდინარე პრობლემების მონიტორინგი უნივერსიტეტში (თვითშეფასების ანგარიშის, პროგრამისა და დანართების მიხედვით)

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილებისა და მიღწევების კვლევას.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს ლექციების/პრაქტიკული სწავლების/სამედიცინო პრაქტიკის შეფასებასა და მონიტორინგს, წინასწარგანსაზღვრული კრიტერიუმებით, პროცესზე დასწრების გზით.
- ყოველი სემესტრის ბოლოს, სტუდენტები პროგრამას, კურსებსა და ლექტორებს აფასებენ შექმნილი კითხვარების მეშვეობით.
- ყოველი სემესტრის ბოლოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს გამოკითხვას სტუდენტებში და გამოკითხვის საფუძველზე ამოწმებს სტუდენტების კმაყოფილებას უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობისადმი. შედეგების სისტემატური ანალიზი განხორციელდება მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან ერთად.
- ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის კოორდინატორებთან ერთად განიხილავს სასწავლო რესურსების განვითარების გეგმას. იმავდროულად, განიხილება სტუდენტთა გამოკითხვები და სხვა დაინტერესებულ პირთა მოსაზრებები.

ადგილზე ვიზიტმა და გასაუბრებებმა აჩვენა, რომ პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული განხილვის დოკუმენტები ადგილზეა, თუმცა პროცესი ბუნდოვანია. აკადემიური პერსონალის ჩართულობა პროგრამის მონიტორინგსა და მის გაუმჯობესებაში არ იყო მკაფიოდ წარმოდგენილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შეფასების შიდა მექანიზმი (დანართი 10)

○ აკადემიური მართვის გზამკვლევი (დანართი 19) ○ პროგრამის შეფასებები (დანართი 03) ○ შეფასების ფორმები (დანართი 22) ○ გასაუბრებების შედეგები
რეკომენდაციები: პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული მიმოხილვის პროცესებმა უნდა ჩამოაყალიბოს ოფიციალური სტრუქტურა, რათა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული მხარის სისტემატური ჩართულობა განვითარების და მონაცემთა ანალიზის პროცესებში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის საჭიროა ელექტრონული პლატფორმის შემუშავება მონიტორინგის სამუშაო პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის უფრო ეფექტური ჩართულობისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები			✓	

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

„დიპლომირებული მედიკოსის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 41

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები დამატებით პროგრამის შესაბამისობა			✓	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების სადეკლარატორება				✓
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსები თუზრუნველყოფა				✓
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები			✓	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა